ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5803753

ნომერი: AR1872946

თარიღი : 16.01.2022

გაცემის თარიღი : 14.02.2022

გაცნობის თარიღი : 14.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 16 იანვარს №AR1872946 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 23

დეკემბრის №5738966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ორგანიზების პროექტთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 დეკემბრის №5728109 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ასმათის ქუჩა №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.036.152), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 23 დეკემბრიდან 2023 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 25 იანვრის №5775092 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 15 დეკემბრის №5728109 ბრძანებაში ღია ავტოსადგომების ფართობთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არასწორად არის მითითებული ნიშნულები და ეტაპების ვადები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკი შეადარა სამსახურის 2021 წლის 15 დეკემბრის №5728109 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ გეგმებზე, ჭრილებზე და ფასადებზე +7.80, +20.60, +33.40 და +43.00 ნიშნულები არ არსებობს. თუმცა, მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში, ისევე როგორც სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა +7.80, +20.60, +33.40 და +43.00 ნიშნულები. სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ მშენებლობის ორგანიზების პროექტით მიხედვით სამშენებლო სამუშაოებისთვის განისაზღვრა 24 თვე და თითოეული ეტაპისთვის დადგინდა შესაბამისი ვადა, რომლის მიხედვით შესაბამისობაში მოვიდა მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი და მშენებლობის ორგანიზების პროექტი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებაში და:
1.1 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულიდან +6.20 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით). 5) ძირითადი კარკასის მონტაჟი +12.60 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით. 6) ძირითადი კარკასის მონტაჟი +28.60 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით). 7) შენობის სახურავის მოწყობა, შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი. 8) გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. 9) ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი. 10) ტერიტორიის კეთილმოწყობა.“.
1.2 აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტით და მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 23 დეკემბრის №5738966 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.